პოლონეთის ისტორიული გეოპოლიტიკური ინტერესების და გამოწვევების ტრანსფორმაცია ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში

გიორგი ფიფია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2018

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

გიორგი ფიფია

22.06.2018

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება პოლონეთის ისტორიული გეოპოლიტიკური ინტერესების და გამოწვევების ტრანსფორმაციას დღევანდელ რეალობაში. კვლევის მიზანია ძირითადი ფაქტორების დადგენა, რომლებმაც განსაზღვრეს თანამედროვე პოლონეთის საშინაო და საგარეო პრიორიტეტები. კვლევა ჩატარდა იმისათვის, რომ პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: რა მიზეზებით არის გამოწვეული პოლონეთის სწრაფვა, რომ გახდეს რეგიონული ძალა/ლიდერი? რატომ არის მნიშვნელოვანი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში სტაბილური სახელმწიფოთაშორისი გარემო? რეგიონული ლიდერის სტატუსი, ფუნქციები და გამოწვევები განხილულია ფლიმსის, პრისის, ბრეჩერისა და მეირსის თეორიებზე დაყრდნობით. კვლევაში დეტალურადაა შესწავლილი პოლონეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიმართულებები, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფორმირების პროცესზე. მოძრაობა ორმხრივია - შიდა პოლიტიკური პროცესები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის საერთშორისო პოზიციას და პირიქით.

ნაშრომი იყენებს თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას. ძირითად მეთოდად გამოყენებულია Case Study მიდგომა. ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დასადგენად გამოყენებულია პროცესის მიყოლის (Process Tracing) მეთოდი. ძირითადი თვისებრივი მეთოდების გარდა, კვლევაში გამოყენებულია დისკურს და თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდები პირველადი და მეორადი წყაროების, კონკრეტულად კი, ოფიციალური დოკუმენტების, მათი საექსპერტო ინტერპრეტაციებისა და მედია ინფორმაციის ანალიზისათვის.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პოლონეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ორიენტირება რეგიონული ლიდერობისკენ, მისი სწრაფვა, გახდეს რეგიონში უსაფრთხოების დამცველი, გამოწვეულია წინააღმდეგობრივი ისტორიული გამოცდილებით, ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობით, საერთაშორისო და რეგიონული ვითარებით და დომინანტი ძალის მხარდაჭერით. შედეგად, პოლონეთი

ახერხებს, შეიძინოს რეგიონალური ძალის სტატუსი და გაამყაროს როგორც საკუთარი, ისე რეგიონული უსაფრთხოება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პოლონეთი, საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება, აღმოსავლეთ ევროპა, რეგიონული ლიდერი, ისტორიული გამოცდილება.

Abstract

The present Master Thesis researches the causes leading to transformation of Poland's historical geopolitical interests and challenges in modern era. The Research aims to find the main factors shaping internal and foreign policies of Poland. The work makes attempt to response the following questions: what reasons push Poland to become a regional power/leader? Why is it so important to maintain regional stability in the Central and Eastern Europe as a guarantee of Poland's security? The status, functions and challenges of the regional leader are elaborated by Flemes, Prys, Brecher, and Mores theoretical scholarship. The details of Poland's foreign policy's main directions are discussed profoundly and deliberation set apart those that have most significant effect on the state's decision-making process with regards to foreign and internal policy. It is noteworthy that there is a two-way motion – state internal policy impacts country's international position significantly and visa versa.

Methodologically the study is qualitative. The main method utilized is deep-in case study analysis. To elaborate causal relationship this qualitative method applies process-tracing technique. In addition, the research used discourse and content analysis methods to analyze primary and secondary references, official documents, and interpreted experts opinions and media information.

The research concludes that Poland's internal and foreign policies strategies aiming to achieve the regional leadership and become key actor in the region (middle power) have roots in Poland's controversial historical experience, though geopolitical location, international and regional environment influence the process significantly. As a result, Poland is granted regional power status with support of the dominant power, USA, to enforce it's own interests, on one hand, and maintain regional security, on another.

Key words: Poland, Foreign policy, Security, Eastern Europe, Regional leader, Historical experience.